ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის საკრებულოს, რაიონის გამგეობისა და საზოგადოება „ლეჩხუმის“ ერთობლივი ორგანო

№1, 9 ივლისი, 1999 წელი. გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმის ისტორიიდან ⇨ გვ. 4

ახალი... ახალი...

⇨ გვ.2
ვიცოდი, სად მოვდიოდი და რატომ... (ინტერვიუ რაიონის გამგებელთან)

⇨ გვ. 5
„სთესევდით სულთა შინა თქვენთა სიმართლეს“

⇨ გვ. 3
საფოსტო ბანკი — სიახლე და რეალობა

⇨ გვ. 4
ლაშიჭალა—უკვდავების წყაროს წყალი

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

გადაწყდა—ჩვენი რაიონის მკითხველს დღეიდან კვლავ ექნება საკუთარი გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“. ივი თავის ფურცლებზე ასახავს და მოსახლეობას გადასცემს რაიონის ცხოვრების ახალ ამბებს, ხალხის ყოფის, კულტურისა და დემოგრაფიის პრობლემათა გადაწყვეტის მიზნით შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, საბაზრო ეკონომიკისა და კრიმინოგენური სიტუაციის დადებით და უარყოფით ნიუანსებს, რაიონის მმართველობითი აპარატის სადღეისო პრობლემებს...

ძვირფასო მკითხველო! ერთი შეხედვით, შეიძლება, მავანმა და მავანმა თქვას, რომ ეს არის შემოპარული მცდელობა დიქტატისა და ბატონთა მსახურისა. სრულიადაც არა! ჩვენ ვცდილობთ არ აღმოვჩნდეთ არც პოზიციაში და არც ოპოზიციაში — ერთი სურვილი გაგვაჩნია მხოლოდ — დავაფიქსიროთ ფაქტები, ვთქვათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, განსასჯელად კი თქვენ მოგანდოთ, თანაც თქვენი კანონიერების იმედი გაქვს, თქვენი თანადგომისა. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს. სჩანს, გული მართლაც რკინისა გვაქვს და ჯერ-ჯერობით მუხლიც გვიჭრის. ასე რომ არ იყოს, ახალგაზრდები, თითქმის გამოუცდელნი, არ მოვკიდებდით ხელს ამ საპატიო საქმეს. გვაქვს სურვილი, შემართება, ძიებისადმი ლტოლვა და რაც მთავარია, ახლის შეგრძნება, გარდა ამისა, გვყავს კოლეგა, რომელსაც გამოცდილებაც დიდი აქვს და ჩვენს გვერდში დგომის სურვილიც.

რა თქმა უნდა, დაზღვეული არა ვართ ნაკლოვანებებისაგან — პირველ ნაბიჯს ხშირად მოსდევს ხოლმე ხარვეზები, წინააღმდეგობები.

გულწრფელად მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, მობრძანდით რედაქციაში. ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ თქვენს ყოველ სამართლიან შენიშვნას, აზრს, წინადადებას მომავალი ნომრისათვის, რადგან კარგად გვესმის, რომ „მწერალს მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჰყავს“— მკითხველი.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო! გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ პირველი ნომერი მოგესალმებათ და სასიამოვნო განწყობილებას გისურვებთ.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ სარედაქციო კოლეგია

ერთი დღე ნამარნევში
⇨ გვ. 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდი, სად მოვდიოდი და რატომ მოვდიოდი...

ინტერვიუ რაიონის გამგებელ ბატონ ოთარ ძგენელაძესთან

—ბატონო ოთარ, თქვენთან ინტერვიუ ჩვენი გაზეთის პირველი ნომრისთვის მზადდება. რას ეტყოდით უშუალოდ ამ გაზეთის შესახებ ლეჩხუმის საზოგადოებას, რას უსურვებთ „ახალ ლეჩხუმს“ და მის სარედაქციო კოლეგიას.

—რაიონის ხელმძღვანელობა ძალიან მტკივნეულად განიცდიდა იმას, რომ დაახლოებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში ლეჩხუმში ინფორმაციის არანაირი საშუალება არ არსებობდა. თათბირებსა თუ აქტივის კრებებზე გადაწყვეტილი თუ გადასაწყვეტი საკითხები, მიღებული დადგენილებები, ხალხისათვის საერთოდ არ იყო ცნობილი.

არჩევნებთან დაკავშირებით მეტად დაიძაბა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა.

დღეისათვის, როგორც იქნა, გამოინახა სახსრები (ნაწილობრივ ბიუჯეტიდან, მოძებნილია სპონსორიც), რომელიც დააფინანსებს ახალ გაზეთს. მეც და რაიონის დანარჩენ ხელმძღვანელებსაც გვესახება, რომ გაზეთი უნდა იყოს თავისუფალი, ასახავდეს პრობლემატურ საკითხებს, ობიექტურად მიჰქონდეს ინფორმაცია მკითხველამდე, მასში უნდა გამოსჭვიოდეს საფუძვლიანი კრიტიკა ყოველგვარი პირადი ინტერესების, ღვარძლისა და სიცრუის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი არის ორგანო, კიდევ ერთხელ ვიმეორებ,—მას ამით თავისუფლება არ ეზღუდება, პირიქით, მისგან ველით დახმარებას ამა თუ იმ პრობლემების გადაჭრაში.

რაც შეეხება სურვილებს: პირველ რიგში, გაზეთს ვუსურვებ ხანგრძლივ არსებობას, ავტორიტეტს და იმ დიდი ნდობის მოპოვებას, რასაც მკითხველის სიყვარული ჰქვია.

—როგორ გესახებოდათ გამგებლის ამპლუა და როგორი აღმოჩნდა სინამდვილეში?

—დაახლოებით 20–25 წელია რაიონის მმართველ სტრუქტურებში ვმუშაობ, ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა სფეროებს, მჭიდრო ურთიერთობა მქონდა მმართველ რგოლთან ყველა დროში. ამდენად, ჩემთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი თუ სად მოვდიოდი, რატომ მოვდიოდი, რა სირთულეებთანაც მექნებოდა საქმე. ჩამოყალიბებულ ცხოვრებას თავიდანვე არ ველოდი და იმ წინააღმდეგობებს, რაც დღეს მხვდება, ოდნავადაც არ შეეშინებივარ, პირიქით, ჩემი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ვთვლი—უეჭველად უნდა დავძლიო ყოველივე.

ჩემში თანამდებობისა და პირველკაცობისაკენ მიდრეკილება არასოდეს ყოფილა, მაგრამ გადაწყდა ასე და ვალდებული ვარ ყველაფერი გავიღო იმ საქმისათვის, რომელსაც დღეს ვაკეთებ, თუმცა, მთელს რესპუბლიკაში ასე თუ გართულდებოდა ეკონომიკური და საბიუჯეტო მდგომარეობა, რომელმაც სოციალური მხრიდან დიდი დაძაბულობა გამოიწვია, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო, მაგრამ დაუძლეველი არაფერი არ არის. რაიონის მმართველი უნდა ზრუნავდეს იმ ხალხისათვის, ვისაც ის ხელმძღვანელობს, სხვანაირად არ შეიძლება.

—როგორია დღეს რაიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა?

—ქვეყანაში საერთო დაძაბულობაა, რაც გამოწვეულია ეკონომიკური კრიზისით. გარკვეული დაძაბულობაა რაიონშიც, როგორც სოციალური, ისე ეკონომიური თვალსაზრისით, ვინაიდან საფონდო დახმარება ვერ ხდება რესპუბლიკის ხაზინიდან, ხელფასები გაუცემელია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება, კულტურა, სპორტი. გაუცემელია გასული 5–6 თვისა და მომდინარე 3–4 თვის ხელფასები. ანალოგიური მდგომარეობაა პენსიებით უზურნველყოფის თვალსაზრისით.

პენსია არასოდეს არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ლეჩხუმელი გლეხისათვის, მაგრამ გასული წელი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ყველაზე მოუსავლიანი წელი იყო. შემოდგომის ბოლოსვე მოსახლეობაში კვების პროდუქტის დეფიციტი შეიქმნა. სიტუაცია გართულდა გაზაფხულზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ არსებული მარაგი გამოლეულია, ხოლო ახალი კი ჯერ შემოუსვლელია და პენსია გახდა გლეხის არსებობის ერთადერთი საშუალება, მიუხედავად საკრებულოსა და გამგეობის გულისხმიერებისა, ასევე რაიონიდან გასული ყველა ავტორიტეტული პიროვნების გვერდში დგომისა, მაინც ვერ მოხერხდა მიმდინარე სამეურნეო წელს პენსიების გაცემა, გარდა იანვარ—თებერვლისა, საპენსიო თანხით უზრუნველყოფა ხდება რესპუბლიკის საპენსიო ფონდის მეშვეობით, რომელიც ფინანსდება სხვადასხვა შემოსავლებიდან, თანხების უქონლობის გამო ვერ ხერხდება რაიონში სათანადო რაოდენობის საპენსიო თანხის შემოტანა, რითაც დაკმაყოფილდება მოსახლეობა. რაც შეეხება ადგილობრივი თანხების მობილიზებას, ის შეადგენს 10–12 ათას ლარს. ამ ფონდში კი გვჭირდება 126 ათასი ლარი. ადგილზე მოზიდული თანხა, ვერ აკმაყოფილებს პენსიის მოთხოვნილებას. გართულებულმა სოციალურმა მდგომარეობამ გარკვეულად დაძაბა რაიონში პოლიტიკური სიტუაცია. განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა განათლების, კულტურასა და ჯანდაცვის სფეროებში. არც ერთი ოპოზიციური ძალა არ ზრუნავს, რომ ხელი შეუწყოს ნორმალიზაციას, გარკვეულ წილად დაამშვიდოს მოსახლეობა მორალურად და წვლილი შეიტანოს ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებაში. რაიონში შეიქმნა დაპირისპირებული ჯგუფები, რაც ხელს უშლის ადგილობრივ ხელისუფლებას ნორმალურ საქმიანობაში.

—შესრულდა თუ არა რაიონული ბიუჯეტი ამ ეტაპზე?

—რაიონის ბიუჯეტი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორჯერ გაიზარდა (1997 წელს 138 ათასი ლარი, 1998 წელს —385 ათასი ლარი, მიმდინარე წელს—555 ათასი ლარი). ბიუჯეტის ასე გაზრდა განაპირობა ლაჯანაურჰესის რაიონული ბიუჯეტის დაქვემდებარებაში გადმოსვლამ, ბიუჯეტის შემოსავლის 80 პროცენტი დაგეგმილია სწორედ აქედან. მიუხედავად იმისა, რომ ლაჯანურჰესს დღეის მდგომარეობით აქვს დავალიანება 450 ათასი ლარის ოდენობით, რისი მოხვედრაც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით ბიუჯეტში ვერ მოხერხდა. 6 თვის მონაცემებით მთლიანი კონტიგენტი შესრულებულია 123 პროცენტით, აქედან ცენტრალური შესრულებულია —167 პროცენტით, ხოლო ადგილობრივი მხოლოდ 70 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტის შეუსრულებლობა განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ ვერ ამოქმედდა წარმოება-დაწესებულებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ბიუჯეტში, ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას გადახდის კულტურა რაიონში, ადგილი აქვს დამალვის, განზრახ გადაუხდელობის ფაქტებს.



იმის გამო, რომ ვერ ვასრულებთ ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, გვაქვს ხელფასების დავალიანება საბიუჯეტო ორგანიზაციებში, საიდანაც ფინანსდება: სახანძრო, ვეტლაბორატორია და ჯანდაცვის სფეროს გარკვეული ნაწილი თანაგადასდის პრინციპით, მმართველობის აპარატი, სადაც ხელფასების დავალიანება დღეის მდგომარეობით 2–3 თვეს გადასცილდა. საჭიროა მეტი გააქტიურება საგადასახადო სამსახურის, მმართველობით ორგანოების, ნებისმიერი პიროვნების, რომელსაც შეხების წერტილები აქვს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მობილიზაციასთან. აღმოფხვრილი უნდა იქნეს მნიშვნელოვანი დარღვევები, რათა გაუჯობესებულ[illegible] და სრულყოფილი იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობა.

—რადგან ჩვენს ადგილობრივ ბიუჯეტს დღეს ასე უჭირს, არ შეიძლება, რომ რესპუბლიკური დაქვემდებარების რამდენიმე ობიექტი მაინც გადავიდეს რაიონულ დაქვემდებარებაში?

—ეს არ ხერხდება, რადგან რესპუბლიკას ამის შესახებ საკუთარი ინტერესები გააჩნია, თუ გარკვეული პრივილეგიები ფინანსების თვალსაზრისით ენიჭება იმ რაიონებს, რომლებიც ასრულებენ რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.

—საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ტრანსფერით დროულად გადმოგზავნილი ხელფასები მთავრობას არ მიაქვს დანიშნულების ადგილამდე, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, აგვიანებს მის ადრესატამდე მისვლას. როგორ ახსნიდით ამას?

—ის მოსაზრება, რომ ჩამორიცხული თანხები, რომელიც უნდა გაიცეს პედაგოგებზე, ექიმებზე, კულტურის განყოფილების მუშაკებზე, იხარჯება სხვა მიზნით, სიმართლეს არ შეესაბამება და მტკნარი სიცრუეა. ჩვენ მიღებული გვაქვს მთლიანად 5 თვის ტრანსფერი სრულყოფილად აღნიშნული სფეროების დასაფინანსებლად, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ განათლების სისტემა უნდა ხარჯავდეს თვეში 35200 ლარს, ხარჯავს 38500 ლარს, ყოველ თვეში ხდება გადახარჯვა, რის გამოც, მიუხედავად იმისა, რომ მაისის ტრანსფერი მიღებული გვაქვს, ამ თვის ხელფასის სრულყოფილად გაცემა მაინც არ მოხერხდა.

ყოველივე გამოიწვია იმან, რომ განათლების სისტემაში სხვადასხვა მიზეზების გამო დროულად არ გატარდა რეფორმა, არ დაკმაყოფილდა ამ რეფორმის მოთხოვნები, არ მოხდა შემცირებები. მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფას უნდა ხლებოდა თანადაფინანსება, რომლის უქონლობამაც გამოიწვია გასული წლის დავალიანება 65000 ლარის ოდენობით.

მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ გზად მესახება რეფორმის სასწრაფოდ, ნაწილობრივ მაინც გატარება, უნდა დაიხვეწოს გარკვეული საკითხები განათლების სისტემაში, რაც აუცილებლად მოგვცემს ეკონომიკურ ეფექტს.

ივნისში გამოყოფილი გვაქვს ტრანსფერი 35 ათასი ლარის ოდენობით, რითაც დაფინანსდება კულტურის, სპორტის და ჯანდაცვის განყოფილებების უკანასკნელი თვეების ხელფასები, ნაწილობრივ აქედანვე დაფინანსდება განათლების სისტემაც.

—ჩვენთვის ცნობილია, რომ ლეჩხუმი პარლამენტის გადაწყვეტილებით შეყვანილ იქნა მთიან ზონაში, რა შეღავათს მოუტანს აღნიშნული ფაქტი ჩვენს რაიონს?

—კანონი მთის შესახებ ითვალისწინებს მნიშვნელოვან შეღავათებს, რითაც გარკვეულად გაუმჯობესდება მდგომარეობა, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა ეს კანონი ძალაში შედის 2000 წლიდან, ვფიქრობ, ეს ბევრ რამეში დაგვეხმარება.

—მოკლედ თუ შეიძლება სამომავლო გეგმების შესახებ, რით დაგიმედებდით ჩვენს მოსახლეობას?

—მიუხედავად დღევანდელი სირთულეებისა—მიუღებელი ხელფასები, პენსიები, მდგომარეობა უახლოეს მომავალში რადიკალურად უნდა შეიცვალოს. კერძოდ, რესპუბლიკის მთავრობაში მიდის მუშაობა ხაზინაში თანხების მობილიზებისათვის, რაც გამოყენებული იქნება ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დასაფარად, გვპირდებიან, რომ 1 აგვისტოდან დაიწყება როგორც მიმდინარე, ასევე გასული წლის დავალიანებების ეტაპობრივი დაფარვა, გარდა ამისა, სექტემბერში უნდა დაიწყოს ლაჯანურჰესის რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც 24 მილიონი დოლარის ეკვივალენტით ფასდება მართალია, ძირითადად თანხა ხმარდება ტექნიკურ გადაიარაღებას, მაგრამ 5–6 მილიონი დოლარი გამოყოფილია წყალსადენის სათავე ნაგებობის, გვირაბების სარემონტო სამუშაოებისათვის, მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება (თანხა გამოყო მსოფლიო ბანკმა).

ფუნქციონირება დაიწყო სოციალური ინვესტიციების ფონდმა. რაიონში, რომელიც შეასრულებს 250 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებს ქალაქის წყალსადენზე, ლაილაშის საშუალო სკოლაზე, ლუხვანოს 3-წლიან სკოლაზე. ნაწილი თანხისა გამოყენებულ იქნება ლასურიაშის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

პრეზიდენტმა უკვე ხელი მოაწერა თავისი ფონდიდან 250 ათასი ლარის გამოყოფას, რომელიც მოხმარდება ლაჯანურის და ცხენისწყლის ხეობებში ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებას.

ტყეთმოწყობის და ტყითსარგებლობის საკითხების მოსაგვარებლად მთელს მხარეში გამოყოფილია მილიონი დოლარი, აქედან ნახევარი მილიონი ლარი მოხმარდება ცაგერის სატყეო მეურნეობას.

ასე რომ, მიუხედავად ბევრი მოუგვარებელი საკითხისა, მომავალზე მაინც დიდ იმედებს ვამყარებ და ამდენად, ლეჩხუმის მოსახლეობასაც უკეთეს მომავალს ვპირდები.

* * *

—მადლობას გიხდით ინტერვიუსათვის, მადლობას გიხდით სარედაქციო კოლეგიის სახელით იმ თანადგომისთვის, რაც გაზეთ „ახალი ლეჩხუმს“ დაფუძნებისათვის გამოიჩინეთ.

თამარ დავითულიანი

ქრონიკა

გამგეობის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სოციალისტური პარტიის ცაგერის რაონული ორგანიზაციის კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი, საპარლამენტო ფრაქცია „სოციალისტის“ თავმჯდომარე ბატონი იური ჩიხრაძე და პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნუგზარ ნავაძე.

მოხსენებით 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების—საკრებულოების არჩევნებში საქართველოს სოციალისტური პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის მონაწილეობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ—გამოვიდა საქართველოს სოციალისტური პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე აკაკი პირველი.

კამათში მონაწილეობდნენ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე მადონა ბერიძე, ორბელის საკრებულოს დეპუტატი სოციალისტური პარტიიდან გოჩა გურგუჩიანი, ოყურეშის საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმალ ჩიკვაიძე.

პოლიტიკური მოხსენებებით გამოვიდნენ ბატონები ნუგზარ ნავაძე, იური ჩიხრაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი.

კონფერენციამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები, აირჩიეს პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მოადგილეები, სარევიზიო კომისია, კომიტეტი, სსპ მე-4 კონგრესის დელეგატები.

საქართველოს სოციალისტური პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი პირველი, მოადგილეებად—მარინე ბურჯალიანი, მადონა ბერიძე, რევაზ ყურაშვილი.

საფოსტო-ბანკი-სიახლე და რეალობა

„საქართველოს საფოსტო ბანკი“ შეიქმნა 1995 წელს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაცია და ეკონომიკური რეფორმა დაწყებით ეტაპზე გახლდათ. ეს იყო უმძიმესი პერიოდი ისეთი ინსტიტუტის შექმნისათვის, რომელსაც საფოსტო ბანკი ეწოდება. მიუხედავად ამისა, საფოსტო ბანკის აქციონერებმა, რომლებიც ძირითადად საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს წარმოადგენენ, შეძლეს საკმაოდ მოჭნილი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.

„სსბ“-ის სტრატეგიული მიმართულებაა მასობრივი ფილიალიზაცია საქართველოს ყველა ქალაქში. აღნიშნული საკითხის დაყენება შემთხვევით არ ყოფილა. საქართველოს კავშირგაბმულობა და ფოსტა აღმოჩნდა ურთულესი პრობლემის წინაშე. მისი ორგანიზაციები განლაგებულია ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში. მართალია, მათ გააჩნდათ საბანკო ანგარიშები, მაგრამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში მასიურად იხურებოდა ძველი საბანკო ერთეულები. კავშირგაბმულობის ორგანიზაციებს პრობლემები შეექმნათ ანგარიშსწორებისას. აღნიშნული გარემოება გაითვალისწინა „სსბ“-ის აქციონერთა სამეთვალყურეო საბჭომ და მიზნად დაისახა ფოსტისა და ელექტროკავშირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით შეექმა ფართო საფილიალო ქსელი. ფილიალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კავშირგაბმულობისა და ფოსტის ორგანიზაციებს, სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის უწყებებს საბანკო მომსახურებას უწევს.

დღემდე „სსბ“-მა შეძლო 100-მდე ფილიალის დაფუძნება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რაც აუმჯობესებს ფოსტის ქსელის გამოყენებით საბანკო და საფოსტო სერვისს.

1998 წლის 1 ივნისს ცაგერში კავშირგაბმულობის ბაზაზე გაიხსნა „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ფილიალი. რაიონში ამ საქმის ორგანიზატორი გახლავთ თვით ამ ბანკის ხელმღვანელი ახალგაზრდა ქალბატონი ნატო სილაგაძე. ასეთი ბანკი დღევანდელი ცხოვრების სტილისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. მას გააჩნია თანამედროვე მატერიალური ბაზა და უზრუნველყოფილია ნორმალური მუშაობისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცაგერის საფოსტო ბანკს თავისი ფილიალი გაახნია ლენტეხის რაიონში, ორივეს საფუძველზე ანგარიშის ნომერი გახსნილი აქვს 24 საწარმო ორგანიზაციას.

ცაგერის საფოსტო ბანკი ძირითადად მუშაობს სალომბარდო და ფულად გზავნილებებზე. ასევე გასცემს კრედიტებს თვეში 10 პროცენტის სარგებლით. როგორც ნატომ აღნიშნა, ბანკს მუდმივად ჰყავს კერძო კლიენტი, რომელსაც ემსახურება დროულად და ხარისხიანად. ბანკში ამჟამად დასაქმებულია 15 ადამიანი. ისინი ძირითადად ახალგაზრდა, კვალიფიცირებული კადრები არიან. უნდა ითქვას, რომ ბანკს ბიუჯეტში დროულად შეაქვს თანხა და გადასახადის მხრივ დავალიანება არ აქვს.

მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ყოველი სიახლე საზოგადოების სასარგებლოდ უნდა იქნეს დანერგილი, რათა მინიმალურად მაინც გაუმჯობესდეს ჩვენი დღევანდელი ყოფა. თუ რამდენად ამართლებს ამ იდეას ფოსტა-ბანკი, ამის განსჯა ჩვენი მკითხველისთვის მიგვინდვია

ეკა ყვირილიანი

... და მიაქვთ ასე ცხოვრების ლელი

ის ამოუწურავია თავისი არსით, შემოუფარგლავი, უჩვეულოდ მახლობელი და თბილი, ნაზი და ალერსიანი, უძირო სულის მქონე, ჭკვიანი თვალებით და კეთილი ღიმილით. ის იმედია, მომავლის მარადიული მზით განათებული საუკუნეებიც ვერ გაახუნებენ მის სულს, ალუდა ზურაბიანი პიროვნებაა, ვინც თავისი კაცურ-კაცობით, მართალი სიტყვით და საუკეთესო ექიმობით სახელი გაითქვა, ამიტომაც შეიყვარა და შეისისლხორცა ხალხმა.

დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფელ ჭველიერში. ბავშვობისა და მოწაფეობის საუკეთესო წლები იქ გაატარა. ამიტომაც— მრავალ ტკბილი მოგონება აკავშირებს ამ სოფელთან, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე (სპეციალობით ექიმი-ქირურგი და იყო წლები სტუდენტობის, წლები—მონატრების, სიხარულის, ტკივილის, დაუვიწყარი და განუმეორებელი. ალუდა ზურაბიანი ცაგერს მოევლინა, როგორც უბადლო პიროვნება და საუკეთესო ექიმი, რომლის ხელით მრავალთა სიცოცხლე გახანგრძლივდა დედამიწაზე. „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“,— ნათქვამია, მაგრამ დღესდღეობით ბატონი ალუდა საუკეთესო ქირურგია ცაგერის რაიონში. თავად კი ასე ამბობს: „თუ რამ კარგი ვიცი ცხოვრებაში, თუ კარგი სპეციალისტი ვარ, ეს ვილიამ გოლეთიანის დამსახურებაა, მან შეიტანა წვლილი ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაშიო“. ოპერციიდან გამოსულს, დაღლილს და დაქანცულს თავისი ოჯახი ელოდება. ისინიც ხომ მათთან ერთად იზიარებენ წუხილს, სიხარულს თუ გამარჯვებას.

მეუღლე ქალბატონი მირანდაც, ექიმია. მათ ერთმანეთი 1972 წელს გაიცნეს და ორი წლის შემდეგ დაქორწინდნენ. ალბათ, ესეც ბედი იყო. რჩეულ ექიმებს ერთ ოჯახად უნდა ეცხოვრათ, ამიტომ შექმნეს ასეთი ტკბილი, ჩუმი მოფუსფუსე და მოსიყვარულე ოჯახი. მათ ორივეს ერთად მიაქვთ ცხოვრების ყველაზე მძიმე ლელო. როგორც პროფესიით, ასევე თავისი ქალობით საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონი მირანდა მისი მარადქალური სადა და მშვიდი არსება მისაბაძია მრავალი ქალისათვის. ამჟამად ქალბატონი მირანდა მუშაობს ექიმ-ნევროპათოლოგად. და ამავე დროს არის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში. ის ყოველთვის თავისი თავმდაბლობით და მოკრძალებით, მეგობრებთან და პაციენტებთან გულღია უშუალო ურთიერთობით გამოირჩევა, ამიტომაც შეძლო მოეპოვებინა სულით ლამაზი ადამიანის სახელი. ქალბატონი მირანდა ასე ახასიათებს თავის მეუღლეს: „საოცრად კეთილშობილი, მოსიყვარულე და მზრუნველი მამა, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ოჯახში— ზოგჯერ ფიცხი და ჯიუტი“. ბატონმა ალუდამ კი ასე შეაფასა: „ერთგული მეუღლე და იდეალური დედა“. მათ ორი ვაჟკაცი ჰყავთ, მაგრამ ექიმობა არც ერთმა არ აირჩია, რატომ? ხომ არ არის ეს პროფესია დღესდღეობით ღირსეულად შეუფასებელი?

ზურაბი უკვე ეკონომისტია, მაგრამ ის კვლავ განაგრძობს სწავლას თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ახალი, მისთვის საინტერესო სპეციალობის მისაღებად, ხოლო ზაალი უკვე ინჟინერი გახლავთ.

ასე, რომ, ღირსეული მშობლების ღირსეული შვილები საიმედო მემკვიდრეები გახლავან არა მარტო ზურაბიანების ოჯახისთვის, არამედ მთელი ლეჩხუმის საზოგადოებისათვის.

ემრავლოთ და ეხაროთ ასეთ ოჯახთა რიცხვს საქართველოში

ნანა ახვლედიანი

ქრონიკა

ცაგერის გამგეობის სხდომათა დარბაზში ჩატარდა დამფუძნებელი კრება საზოგადოება „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის“. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები მოძრაობის ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი, დეპუტატი ფიქრია ჩიხრაძე, შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე პაატა ჩხეიძე, აგრეთვე სიტყვით გამოვიდა რაიონის დეპუტატი ვალერი გიორგობიანი, მოძრაობის ხელმძღვანელად ცაგერში დაინიშნა მთვარისა ახვლედიანი.

დამფუძნებლებმა გასაგებად განუმარტეს ლეჩხუმის საზოგადოებას მათი „მოძრაობის“ ძირითადი არსი და ორგანიზაციის დასაფუძნებლად ლენტეხის რაიონში გადაინაცვლეს.

ერთი დღე ნამარნევში

ძველის მოვლა თუ არ ისწავლე, ახლის აშენებაზე არც კი უნდა იოცნებო — სწორედ ეს დევიზი ამოძრავებდა საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ცაგერის რაიონული განყოფილების წამომადგენლებს, 20 ივნისს ექსპედიციას რომ ჩაუდგნენ სათავეში.

ლეჩხუმელი ახალგაზრდების ჯგუფი თხუთმეტი რჩეული ახალგაზრდის შემადგენლობით გაუდგა გზას ულამაზეს სოფელ ჩქუმის მახლობლად მდებარე „ნამარნევის“ ეკლესიისკენ. მათი ვიზიტი ელემენტარულ, კუსტარულ პირობებში, საკუთარი ხელით ამ უმშვენიერესი, მაგრამ უკვე დანგრევის პირზე მისული მონასტრის დასუფთავებას ითვალისწინებდა.

ნამარნევის ეკლესია XIX საუკუნის ძეგლია, ამ მძიმე დროისათვის გასაოცრად მკვიდრად ნაგები. იგი აშენებულია 1822 წელს ლეონ დადიანის მეუღლის და ზურაბ წერეთლის ასულის მართა დედოფლის მიერ, რომელმაც ამ მონასტრისათვის გაიღო შეწირულობა „ნივთი“ ანუ გლეხი ანუ მამული საკუთრისა საფასითა ჩუენითა სრულად და ას საძოვრითა ჩუენისათა“.

რა თქმა უნდა, აქვე უნდა ვიგულისხმოთ ასობით გაჭირვებული მშრომელის თავდაუზოგავი შრომა.

დღეს კი, ერთ დრო მოქმედი, ძლიერი მონასტერი მიტოვებულია და სავსებით მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ცულებით, თოხებით და ბარებით შეიარაღებული ახალგაზრდები დიდხანს ეშიდებოდნენ ეკლესიის საკურთხეველიდან და შემოგარენიდან დროთა ქამისაგან თუ იქაური მოქეიფეებისაგან დაგროვილ ნაგავს. თვით ორგანიზატორები: თამილა ჭაბუკიანი და ნუგეშა კოპალიანი გახდნენ მათთვის სგიმულის მიმცემი, თუმცა არაჩვეულებრივი გარემოც განგვაწყობდა საგმირო საქმეებისთვის.

ჩვენი წინაპრები არ შემცდარან, როცა ეკლესიის ასაშენებლად აღნიშნული ადგილი შეურჩევიათ.

აღმართს მივყავართ ხელისგულივით გადამლილ ველ-მინდვრებისკენ, ხასხასა, მწვანე ბალახში გაბნეული ფერად-ფერადი ყვავილები კი მართლაც მომაჯადოებელი და თვალწარმტაცია. ამ სრულქმნილ მშვენიერებას დარაჯებად ცაღაზიდული, ბუმბერაზი მთები უდგანან— ყოველივეს კი, რა თქმა უნდა, თვით ნამარნევის ეკლესია აგვირგვინებს.

დასანანია, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გვეცლება ხელიდან წინაპართა ტანჯვა-წვალებით აშენებული მსგავსი ისტორიული ძეგლები, თუმცა მათზე ზრუნვას დღეისათვის ვერავის დაავალდებულებ—პრობლემები ხომ სხვაც უამრავია. სასურველია, ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდებს მაინც შეექმნათ ელემენტარული პირობები მოინახულონ ძველი ციხეები და ეკლესიები, დავიწყებას მიცემული ძეგლებიდან მიმავალი ნარ-ეკლებით დაფარული გზა მაინც გაიკაფოს მათი ხელით. ისინი უანგაროები არიან და ვინ იცის, იქნებ სწორედ მათი უანგარობა გახდეს საზოგადოებისთვის მისაბაძი მაგალითი.

თამარ დავითულიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერფოლიდან კვლავ მუზათა ფაძრამდე

რომელ ადამიანს არ შეიპყრობს სინანულის გრძნობა, როცა ჩონჩხადქცეული ძველი კინო-თეატრისა და მუზეუმის შენობის წინ გაივლის?! ეს ადგილი ცოტა ხნის წინ რაიონის კოლორიტი და მშვენება იყო, მაგრამ... დღეს მის ძლივძლივობით აღდგენილი კედლები ღია ცის ქვეშ დგას, ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ დღეს არავის სცალია მუზეუმისათვის, არადა. ამ რთული ცხოვრების პირობებში მით უფრო არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მუზეუმი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის უბადლო საგანძურია, მის საგამოფენო დარბაზებსა და ფონდებში თავმოყრილი მემორიალური თუ დოკუმენტური მასალა ნათელს ჰფენს ლეჩხუმის ისტორიისა და ყოფის ამა თუ იმ მხარეს.

1996 წლის 2 დეკემბერს მოულოდნელმა ხანძარმა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაანადგურა. გადარჩენილ ექსპონატებს, უნიკალურ ნივთებს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. დაზიანებულსა და ნახევრად განადგურებულს შეძლებისდაგვარად აღდგენა, აი, ასეთ დროს დაინიშნა მუზეუმის დირექტორად ბატონი ომარ ჭაბუკიანი. თანამშრომლების აქტიური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა აღედგინათ ის ზოგიერთი დოკუმენტური მასალა და ექსპონატი, რომელსაც ახლა მუზეუმში ვხედავთ.ხანძრის დროს დაიწვა საარქივო მასალა და ხის ნაკეთობები. განსაკუთრებით დაზარალდა ეთნოგრაფიული განყოფილება. როგორც ბატონმა ომარმა ბრძანა, ამჟამად, გადარჩენილი და აღდგენილია ექსპონატების 70 პროცენტი.

რაიონის გამგეობის თავმჯდომარის ოთარ კვენტაძისა და რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის ზურაბ ხეცურიანის მიერ ამ საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით მუზეუმს შესაძლებლობა მიეცა გამოყოფოდა ფართი ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში, „ღია საზოგადოება საქართველო“ მუზეუმისათვის გამოყო გრანტი 4300 დოლარი. ამით შესაძლებელი გახდა შეეძინათ საგამოფენო ინვენტარი და ჩატარებულიყო ტექნიკური სამუშაოები (ელექტროგაყვანილობა, სიგნალიზაცია. ჩაისვა რკინის კარები, ფანჯრის გისოსები).

მუზეუმის მხატვრის ნუგზარ კოპალიანის პირადი ინიციატივით და ძალისხმევით აღდგენილ იქნა ლეჩხუმის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლებისა და ეკლესია-მონასტრების საარქივო ფოტომასალები, რომლებიც მინის უქონლობის გამო ღია ჩარჩოებშია მოთავსებული.

მუზეუმისათვის გამოყოფილ რამდენიმე ოთახში აშკამად მუშაობს საპენსიო ფონდი, რომელიც ვერ ახერხებს ადგილის გათავისუფლებას, რაც ხელს უშლის ბუნების განყოფილების აღდგენას და საქმე ფერხდება. აგრეთვე ბატონმა ომარმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ მუზეუმს არ გააჩნია არაანარი საშუალება შეიძინოს მოსახლეობაში არსებული ექსპონატები,

ვათვალიერებ ქვის ხანის იარაღებს, საუცხოო ექსპონანტებს, ჩვენი წარსლისა და ყოფის ამსახველ მასალებს, რომლებსაც თავთავიანთი ადგილი აქვს მიჩენილი და გული კმაყოფილებით მევსება, რომ მომავალი თაობისათვის კვლავ დაცული იქნება ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები. მართალია, დღეს პრობლემებით აღსავსე ადამიანს არც კი სცალია მუზეუმში შესვლა და მისი დათვალიერება, მაგრამ ასე ხომ არ გაგრძელდება?! ჩვენ ყველამ წვლილი უნდა შევიტანოთ მუზეუმის აღდგენასა და შენარჩუნებაში, თორემ რას იტყვის ჩვენზე შთამომავობა?!

ეკა ყვირილიანი

ლეჩხუმის ისტორიიდან

როგორ გახდა ცაგერი ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი

ლეჩხუმი რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხეა, ეს ახალი ამბავი არ არის მკითხველისათვის, მაგრამ მისი ისტორია დროის გარკვეულ მონაკვეთში ბევრი ჩვენთაგანისათვის უცნობია.

ყველაზე სარწმუნო წყარო თვითმხილველის მონათხრობი გახლავთ, სწორედ ამიტომ ვხელმძღვანელობ ლეჩხუმის სწავლულის ექვთიმე ახვლედიანის დღიურებით.

ექვთიმე გიორგის ძე ახვლედიანი დაიბადა 1864 წელს სოფელ დეხვირში, ამ დროისათვის ლეჩხუმში არანაირი სასწავლებელი არ არსებობდა, ამიტომაც წერა-კითხვა მას მამასახლისის კანცელარიის მწერალმა შეასწავლა. შემდგომ ამისა, მალე გამოვიდა განკარგულება ყოველ სოფელში სკოლის აშენების შესახებ. არც სოფ. დეხვირი გახლდათ გამონაკლისი. სადაც მასწავლებლად წარგზავნილ იქნა რაჭველი წერეთელი.

სწორედ ამ სკოლაში განაგრძო სწავლა ექვთიმე ახვლედიანმა, კანცელარიის მწირი ხელნაწერები მას სახელმძღვანელოდ იაკობ გოგებაშვილის დედაენით შეუცვალეს, მასწავლებლის შრომა მთლიანად ექვთიმეზე იხარჯებოდა, რადგან იგი ერთადერთი მოსწავლე გახლდათ, მოგვიანებით კი ეს რიცხვი სამოცამდე გაიზარდა.

მშობლიურ სოფელში სკოლის დამთავრების შემდეგ ექვთიმე ახვლედიანმა სწავლა ლაილაშში განაგრძო, აქვე მეცადინეობდა კერძო მასწავლებელთან.

სწავლა დაამთავრა თუ არა, მან მუშაობა დაიწყო მაზრის კანცელარიის მწერლად, მუშაობაში ხელს უწყობდა რუსული წერა-კითხვის ცოდნაც, აქედან მიეცა დასაბამი ექვთიმე ახვლედიანის სხვა საქმიანობას და მოღვაწეობასაც. ამდენად, ექვთიმე ახვლედიანის განათლება იმ დროის პირობაზე საშუალებას გვაძლევს დავეყრდნოთ მის ჩანაწერებს, მაშ ასე:

ცაგერი უძველესი დროიდან მდებარეობს ლეჩხუმის შიდა უბანში, აღმოსავლეთით მას ჩაუვლის მდ.ცხენისწყალი, დასავლეთით აკრავს სოფ. ლუხვანო, სამხრეთით სოფ. ზარაგულა-ჭალისთავი, ჩრდილოეთით—ქვემო სვანეთი.

ცაგერი XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში მოიხსენიებოდა როგორც ცაგერ-გვესო.

ძველი ცაგერის მკვიდრი გვარები გახდნენ: ნემსაძე, ჩარკვიანი, მდივანი, გუგავა, გოგიძე, ჩიქოვანი, ბერიძე, ყურაშვილი, ახვლედიანი, შკუბულიანი, ასათიანი, ცვარიანი, გურული, ჩახულიანი, ქარსელაძე, კოპალიანი, ბენდუქიძე, ლიპარტელიანი, ნემსიწვერიძე, ბუაძე, მუშკუდიანი, ყრუაშვილი, ჩხეტიანი,. სულ ამ დროისათვის ცხოვრობდა ასი კომლი, აქვე იყო ღვთისმშობლის სახელობის მოქმედი ეკლესია, სადაც მთავრობდა მიტროპოლიტი იოანე ცაგარელი, მისი გარდაცვალების შემდეგ მონასტერს 1883 წლამდე ხელმძღვანელობდნენ ილუმენიები და არქიმანდრიტები.

1883 წლიდან ცაგერი გახდა ლეჩხუმის მაზრის ცენტრი, მანამდე ცენტრად ითვლებოდა სოფ. ლაილაში. ამ დროიდან სამაზრო მთავრობის დაწესებულება ცაგერში გადმოვიდა და დაერქვა დაბა ცაგერი. ღვთისმშობლის მონასტერი ნამარნევის მონასტერს შეუერთეს. აშენდა შენობები საბინაო და სავაჭრო დუქნებისათვის, გაიმართა ხელოსნობა.

ლაილაშლები უკმაყოფილონი იყვნენ ცენტრის ცაგერში გადმოტანით და ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდნენ საჩივარი აღეძრათ ქუთაისს. მიზეზად ერთ-ერთ გაზაფხულზე წყალდიდობის გამო ჩხუტელისა და ორბელის სოფლებზე გაყვანილი დამეწყრილი გზები დასახეს, მაზრის უფროსი მოქრთამეს, მანაც სასწრაფოდ დაიწყო გუბერნატორისათვის წარსადგენი ყალბი ცნობების შედგენა: ცაგერში არ არის წყალი, არ არის შენობები, არ არის ბაზრობა, ჰავა კი ისეთი მავნებელია, რომ ციებ-ცხელება უკლავს ჩინოვნიკებს შვილებსო.

ამავე დროს არც ცაგერლები გახლდნენ გულხელდაკრეფილნი, მათ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ტარასი ახვლედიანი, ალექსი მდივანი და თავად-აზნაურობის წარმომადგენელი იასონ გელოვანი.

საჭირო შეიქმნა ოქმები იმის შესახებ, რომ ცაგერის მომხრენი შეადგენდნენ მაზრის უმრავლესობას. ამ ოქმების შედგენა წილად არგეს ექვთიმე ახვლედიანს, მან გამზადებული საბუთები წარუდგინა ტარასი ახვლედიანს, რომელმაც სათანადო თხოვნა-განცხადებები გააფორმა გუბერნატორის სახელზე.

ქუთაისში წარგზავნეს კვლავაც ექვთიმე ახვლედიანი. გუბერნატორს ორი სიტყვაც არ ჰქონდა წაკითხული, რომ სათხოვარი უკან დაუბრუნდა ცაგერლების ნდობით აღჭურვილ პირს და უარი განუცხადა მაზრის უფროსის მიერ ჩამონათვლელ მიზეზებზე დაყრდნობით. თუმცა, ბატონი ექვთიმე ასე ადვილად არ თმობდა პოზიციებს და მისი დიდი მცდელობის შედეგად გუბერნატორმა დაწვრილებით შეიტყო სინამდვილე და მაზრის უფროსის მტკნარი სიცრუე. მან გადაწყვეტილება მიიღო დარჩენილიყო ცაგერი ლეჩხუმის ცენტრად იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნებოდა დაბაში ხუთი შენობის აგება ჩინოვნიკების ბინათ და ბაზრობის ერთი დღით დაწესება.

ეს დიდი გამარჯვება იყო. ექვთიმე ახვლედიანი სასიხარულო ცნობით დაბრუნდა დაბაში და თან ასაშენებელი სახლების გეგმები ჩამოიტანა. ბაზრობის შესახებ კი პირობა დადო გუბერნატორთან ერთის ნაცვლად კვირაში ორ დღეს დეწესებულიყო.

ცაგერის მესვეურებმა კიდევ ერთი ნაბიჯი წინ გადადგეს იმით, რომ ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანად გადააკეთეს. თუმცა მათი ჩანაფიქრის განხორციელებას ტარასი ახვლედიანის ასტრახანაში გადასახლებამ შეუშალა ხელი, თუმცა საკუთარი ნიჭის წყალობით მალევე გაინთავისუფლა თავი და მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა დიდ იმედად.

წინაალმდეგობრივი მოვლენების ცვლა ლეჩხუმის სინამდვილეში ამით არ დამთავრებულა, არც ცაგერის ცენტრად ყოფნა-არყოფნის შესახებ შეწყვეტილა დავა დიდხანს, მაგრამ მის მესვეურებს ტანჯვა-წვალებით, მაგრამ მაინც გაჰქონდათ ლელო თავიანთ სასარგებლოდ.

ამიტომ, როგორც ბატონი ექვთიმე ხვლედიანი, მეც სულითა და გულით ვადიდებ და თაყვანს ვცემ ყველა იმ ღვაწლმოსილ პირს, რომლებმაც ცაგერის სასარგებლოდ დიდი შრომა გასწიეს და ერთგულად როგორც შეეძლოთ ჩვენი პატარა ქალაქის განმტკიცებისათვის და გამშვენიერებისათვის თავი არ დაუზოგავთ.

ჩვენ კი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დიდი მცდელობის შედეგად აშენებულ ცაგერს დღესაც სჭირდება თანამედროვეთაგან დაცვა, მოვლა და პატრონობა.

თამარ დავითულიანი

ლაშიჭალა-უკვდავების წყაროს წყალი

ბაფხული თანდათან შედის ძალაში, გვეძალება მზის სიმხურვალე და სასიამოვნო მოგონებებსაც ბოლო არ უჩანს—გახსოვთ ბათუმი? ან შოვი? თუნდაც ბახმარო! ეჰ საუბედუროდ, მხოლოდ წარსული.

ნუ ვიქნებით პესიმისტები... ჩვენ ისევ შეგვიძლია წარსულის ნოსტალგიას ოღნავ მაინც ვუშველოთ, როგორ? ჩემი შეხვედრა და ექსკლუზიური ინტერვიუ საქციო საზოგადოება „ლაშიჭალის“ დირექტორთან და მთავარ ექიმთან მერაბ ბურჯალიანთან სეზონის დასაწყისში შედგა.

შტრიხები პიროვნული პორტრეტიდან: მერაბ გივის ძე ბურჯალიანი, დაიბადა 1963 წელს 6 აგვისტოს ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში, 1980 წელს დაამთავრა ორბელის საშუალო სკოლა, 1981 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს ექიმ-პედიატრის სპეციალობით, მუშაობდა სოფელ ოყურეშის უბნის ექიმად, რაისაავადმყოფოში ექიმ-პედიატრად. 1995 წლიდან კურორტ „ლაშიჭალის“ მთავარი ექიმი-დირექტორის თანამდებობაზეა. უცოლშვილოა, არის ძალიან ორდინალური და განათლებული პიროვნება.

კარგი სანახავია კურორტი. სიმწვანე და სისუფთავე ახარებს თვალსაც და გულსაც, მდინარე ლაჯანურის ღუღუნი რომანტიკულს ხდის აქაურობას,

ჩემი რესპოდენტი კურორტის წარსულის მემკვიდრეობაზე მისი წინა მორბედის საქმიანობაზე ჩვეული ზრდილობით და თავაზიანობით მპასუხობს, აღნიშნავს, რომ სრულად იქნა შენარჩუნებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მანაც ასეთივე ჩაიბარა. ისიც ცდილობს, „ლაშიჭალას“ არაფერი დააკლოს და ყოველდღიურად რაღაც შემატოს. შარშან რაიონის საგზაო სამმართველომ (უფროსი შ. გუგავა) გზის შეკეთების სამუშაოები აწარმოა. მთლიანი რეკონსტრუქცია კი ფინანსური შეჭირვების გამო ვერა და ვერ მოხერხდა, არადა ლაჯანური ხშირად თავნებობს და გზის შეკეთება დამსვენებლებიდან შეტანილი მიზერული თანხებით ხდება.

კურორტი 150 დამსვენებელზეა გათვალისწინებული. დასვენების ფასები შემდეგნაირია: 10 დღიანი კურსი კვებით 100 ლარი, კვების გარეშე 40 ლარი. კურორტს ემსახურება ექიმი, ექიმ-ლაბორანტი, მასაჟის სპეციალისტი. ყოველდღიურად შეგიძლიათ მიიღოთ მინერალური წყლის აბაზანები, სეზონი სრული სელით 1 იელისიდან გაიხსნა.

„ლაშიჭალის“ წყლის სიკეთებზე ბევრს საუბრობენ, ბევრსაც საჭუთარ ჯანმრთელობაზე გამოუცდია მისი მაგიური ძალა. თამამად შეიძლება ვთქვა,—აღნიშნავს მთავარი ექიმი, რომ მინერალური წყლები მეტად ეფექტურია მკურნალობისათვის. სამკურნალო ზემოქმედებით ასეთი წყალი საქართველოს ტერიტორიაზე არსად მოიპოვება—რთული ტიპის ჰიდროკარბონაგულია და კურნავენ კუჭნაწლავს, ნაღვლის ბუშტს, ღვიძლს, შაქრიან დიაბეტს, რკინა-დეფექტურ ანემიებს, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მრავალი სიკეთისა, დამსვენებლების რიცხვი ძალზე მცირეა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უვარგისობის გამო.

კურორტზე განლაგებულია დასასვენებელი კოტეჯები, ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ მოძველდა. 1976 წელს მოხდა ამ კოტეჯების გამოყოფა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებიდან და აქედან გამომდინარე ისინი უნდა გამოიყენებოდეს ობიექტზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეებისა და არა დამსვენებლებისათვის,

კურორტი „ლაშიჭალა“ საქციო საზოგადოება „ჯანმრთელობის“ დაქვემდებარებაშია, ამ საზოგადოებაში შედის აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა კურორტები: წყალტუბოში 500 ადგილიანი სანატორიუმი, ქობულეთში—ურეკის, ბორჯომის, საირმის,—შოვის და სხვა დასასვენებელი ადგილები,—საიდანაც მხოლოდ „ლაშიჭალა“ „ურეკი“ და „საირმე“ ფუნქციონირებს, დანარჩენებში შესახლებული არიან ლტოლვილები და ეს დასასვენებელი სახლები არანაირ მოგებს არ იძლევიან საქციო საზოგადოებისათვის, აქედან გამომდინარე მოგების ნაწილი „ლაშიჭალაზე“ თითქმის რ ნაწილდება,

ასე რომ, პრობლემებით გადაგტვირთეთ „ლაშიჭალაზე“ დასვენების მსურველნო. მაგრამ ეს მხოლოდ მედლის მეორე მხარეა. ჩვენს შეჭირვებულ ცხოვრებაში მაინც დიდი ფუფუნებაა იმის მიღწევა, რომ „ლაშიჭალის“ უკვდავების წყალი შესვათ.

მამ, ასე, ძვირფასო ლეჩხუმელებო! მობრძანდით! თქვენ გელით კურორტი „ლაშიჭალა“

მარინა სვანიძე

სთქვენდით სულთა შინა თქვენთა სიმართლეს

იმ დღიდან მოყოლებული, როცა ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა, როცა „ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი“, ქართველნი შინაგანად ყოველთვის სულგრძელნი და ღვთისმსახურნი იყვნენ. ამიტომაც იყო, რომ მომხვდურთა სიმრავლეს და უცხო რჯულის ზეწოლას გადავურჩით, ჩვენს გადარჩენაში უფლის ნება ურევია, უფლისა, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სჯულის აღმსარებელში არის. დღეს ყველა მართლმადიდებელი ქართველისათვის უდიდესი სიხარულია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მწყემსთავრები დაინიშნა. ამ უდიდესი მადლით უფალმა ჩვენც,—ლეჩხუმლებიც, დაგვამწყალობა. ცაგერისა და სვანეთის ეპარქიას სათავეში მეუფე დავითი (ტიკარაძე) ჩაუდგა, ზემო სვანეთიდან კი დეკანოზი გიორგი (ჩართოლანი) „მოგვეშველა“, რათა ღვთის შეწევნით კვლავ აღადგინონ წითელი ბურუსის პერიოდში თითქმის ჩაკლული ქრისტიანული სული. მღვდელმთავარი უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია ჩვენს ქალაქში მოღვაწეობს. ბევრს ეს შეიძლება „არც შეუმჩნევია“, მაგრამ მადლობა უფალს, რომ „უმრავლესობა ჩვენი ქვეყნისანი“ უფლისგან ბოძებული დიდი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და სწამთ, რომ ქრისტიანობა ისეა შეესისხლხორცებული ჩვენი ერის სულში, რომ ამ ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე ქართული ფესვები ან ჭკნება, ან დროებით კარგავს თავის ფუნქციებს. რამდენიმე კითხვით მინდა მივმართო ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსს—მეუფე დავითს.

დღეს ხშირად შევხვედებით ადამიანთა ისეთ კატეგორიას, რომელთა ცხოვრების დევიზია: „ვჭამოთ და ვსუვათ, რამეთუ ხვალე მოვკვდებით“, ხოლო მეორე კატეგორიას სწამს, რომ „ხორცი მიწაა—ნახავს სამშობლოს, სული ღვათისაა, ნახავს კი უფალს?!“. თქვენი დარიგება დედამიწაზე ღვთისგან მოვლენილი ადამიანის დანიშნულების შესახებ.

—ქართველებს გვაქვს ერთი საოცარი სიტყვა—გარდაიცვალა. როცა ადამიანი მოკვდება, მასზე ამბობენ—გარდაიცვალაო, რაც იმას ნიშნავს, რომ დამთავრდა მისი „ამქვეყნიური ყოფა“ და იწყება ახალი ცხოვრება. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ „საწუთრო ესე არს ხანმცირე“ დროებითი და მოელის მარადიული ცხოვრება ნეტარებით სასუფეველში, თუ მან მთელი სიცოცხლე ღვთის რწმენით და მცნებების აღსრულებით განვლო. ხოლო თუ ადამიანმა ამქვეყნიური სიცოცხლე ღვთისადმი ურწმუნოებაში და ღვთის მცნებებით დაუცველობამი გააგარა, მოელის მარადიული ტანჯვა ჯოჯოხეთში. ამიტომ დედამიწაზე ღვთისგან მოვლენილი ადამიანის დანიშნულებაა, იცხოვროს ისე, რომ ჩაიდინოს რაც შეიძლება მეტი კეთილი საქმე, განიწმიდოს ბოროტისაგან, რამეთუ გარდაცვალების ჟამს, როცა მოწყალე და მართლმსაჯული ღვთის წინაშე წარვსდგებით, კეთილმა საქმეებმა გადაჭარბოს ჩვენს მიერ ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ბორტება, რათა დავიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა, სადაც არის მარადიული ნეტარება.

დღეს ქვეყანა ისე აირდაირია, რომ სწორი ორიენტაციის მოძებნა თითქმის შეუძლებელი გახდა, სხვადასხვა სექტები სოკოებივით მომვრავლდნენ. ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც ჩვენს ეპარქიაშია. მეუფევ, თქვენი აზრი ამ თავგზაებნეული ხალხის შესახებ.

—როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანის დანიშნულება სასუფევლის დამკვიდრებაა. ყველა ადამიანისთვის ამ სასურველი მიზნის მისაღწევად აუცილებელია ჭეშმარიტი სარწმუნოების გზით სვლა. ჭეშმარიტი სარწმუნოება კი ერთადერთი მართლმადიდებლობაა, რომელიც თვით მოციქულების მიერაა დაარსებული. ალბათ სირცხვილიცაა, რომ საქართველოში ფაქტიურად არსებობს აზრთა გაორება ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ რამეთუ ივერიელთ ქრისტიანობა თვით მოციქულებს შორის პირველმა ანდრია პირველწოდებულმა უქადაგა პირველ საუკუნეში, ხოლო მეოთხე საუკუნეში თვით მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ განანათლა დედაღვთისას წილხვედრი ერი ქრისტეს ნათელით. ამ დროიდან მოყოლებული ჩვენი წინაპრები მტკიცედ იცავდნენ მართლმადიდებლობას სისხლის ფასადაც კი.

ქადაგება—ნიშნავს განმარტებას ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ. მაცხოვრის მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. მოგვცა ის ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა და დაგვიდგინა ის წესები ღვთისმსახურებისა, რომელსაც ივერია და ივერიელები უცვლელად ვასრულებთ პირველი საუკუნიდან დღემდე. ესეც ერთ-ერთი დამამტკიცებელია, რომ ჩვენი სარწმუნოებაა ჭეშმარიტი. იმ ადამიანებს, რომლებიც ვერ გარკვეულად, თუ რომელია ჭეშმარიტი სარწმუნოება, მინდა ვუთხრა, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღესრულება მრავალი სასწაული, რომელიც ამტკიცებს მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას. საკმარისია რამდენიმე მათგანის ჩამოთვლა: ნაკურთხი წყალი, რომელიც წლების განმავლობაში არ ფუჭდება, არტოსი—ესაა პური, რომელიც იკურთხება აღდგომა დღეს და ერთი კვირის განმავლობაში რჩება ტაძარში—ამბიონზე, იმოსება მადლით და აქვს კურნების თვისება; ესაა ჩვენი წინაპრების წმიდა გვამები, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში არ იხრწნება. ესაა ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც აღდგომის წინადღეს გადმოდის მაცხოვრის საფლავზე მართლმადიდებელი მღვდელმთავრის სანთლებზე. მე მგონი, საკმარისია ჩამონათვალი სასწაულებისა, რომელიც ამტკიცებს მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებას.

დღეს მცდარი აზრია გავრცელებული, რომ ღმერთი ერთია, ხოლო მასთან მისასვლელი გზაა მრავალი, რითაც ამართლებენ ფაქტიურად მრავალი სარწმუნოების არსებობას. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს მოციქულის სიტყვები: „ერთ არს უფალ, ერთ არს ნათლისღება, ერთ არს სარწმუნოება“ ე.ი. ერთი არის ღმერთი, ერთი არის მასთან მისასვლელი გზაც—ესაა მართლმადიდებლობა, ხოლო იმ ადამიანთა ხვედრი, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობით თუ უმეცრებით აღმოჩნდნენ გაერთიანებულნი სხვადასხვა სექტებში, საუკუნო საგანჯველია ჯოჯოხეთში, თუკი არ დარწმუნდებიან ამ გზის არაჭეშმარიტებაში და არ დაუბრუნდებიან დედა ეკლესიას. სინანულის შემთხვევაში „ჭეშმარიტების გზათა შეცდომილთათვის“ ყოველთვის ღია იქნება ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის კარი.

რაც უფრო ღრმაა ადამიანის შინაგანი რელიგიური გამოცდილება მით უფრო აფასებს იგი ტრადიციას, ვინ საგანძურს და ფხიზლობს ერთი ძვირფასი ქვაც არ დაკარგოს ამ განძიდან... რა აზრისა ხართ ეგრეთწოდებული „ექსპონატების“ საზღვარგარეთ გადგავიწყდეს, რომ ყოველი ხატი მადლის მატარებელია, მადლისა, რომელიც გვიფარავს ხილულ თუ უხილავ ბოროტძალთაგან. მინდა გავიხსენო—როცა წმიდა იოანე ოქროპირი კონსტანტინოპოლიდან უკანონოდ გადაასახლეს, ქალაქში დიდი ხანძარი გაჩნდა. დაიწვა მრავალი შენობა, მათ შორის ის სასახლეც, სადაც იოანეს საწინააღმდეგო კრებები ტარდებოდა, ხალხი კი უვნებელი დარჩა, რაც აშკარად ღვთის რისხვის გამოვლინება იყო უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიღებული. თუკი მაინც მოახერხებენ მავანნი“ სიწმიდეების გატანას საქართველოდან, გულგრილობის გამო და ღვთისადმი უპატივცემულობის გამო, ღმერთი რაღაც ნიშანს მოგვცემს და ეს ნიშანი ცუდი იქნება. ამის დამამტკიცებლად ზომით მოყვანილი იოანე ოქროპირის მაგალითი გამოგვადგება. თუკი ღმერთმა დაუსჯელად არ დატოვა თავისი მღვდელმთავრის შეურაცხმყოფლები, როგორ უნდა გადარჩნენ დასჯის გარეშე მისი სიწმიდეების შეურაცხმყოფლები.

სხვას რას დაამატებდით ჩვენს საუბარს?

როგორც ამ ეპარქიის მღვდელთმთავარი, მე ვთხოვდი ლეჩხუმის მკვიდრთ, მეტი ყურადღება დაუთმონ სულზე ფიქრს, ქრისტიანულ ცხოვრებას და არ დაივიწყონ, რომ ჩვენ ამქვეყნიური ცხოვრება ხან მცირეა და მოგველის პასუხისგება ჩვენს მიერ ჩადენილ საქმეებზე.

რას უსურვებდით გაზეთ „ახალ ლეჩხუმს“ და მის ახალბედა სარედაქციო კოლეგიას?

დღეს, სხვადასხვა საინფორმაციო სამუალებების და გაზეთების ბუმია საქართველოში, რომლის მოსმენის ან წაკითხვის დროს ხვდები, რომ უმრავლესობა არ იმსახურება ჭეშმარიტებას. ჟურნალისტის პროფესია რთული და საპასუხისმგებლოა, რომლის უმთავრესი მოვალეობაა ჭეშმარიტი ინფომაციის მიწოდება ხალხის ფართო მასებისათვის.

ადამიანი რომ ჭეშმარიტებას ემსახუროს, საჭიროა, ღვთის მადლი და წყალობა. მე ვუსურვებდი გაზეთ „ახალ ლეჩხუმს“ და ახალგაზრდა სარედაქციო კოლეგიას ღვთის მადლს, წყალობას, რომ ყოფილიყვნენ მსახურნი ჭეშმარიტებისა. ღმერთმა მისცეთ მათ ძალა ჩვენი ქვეყნისა და კუთხის სასახელოდ.

P.S. *„დაიბანაკეს ანგელოზი უფლისა გარემოს მოშიშთა მისთა“—ლეჩხუმი რომ მადლმოსილი მიწაა, ამას მოწმობს „მურისციხესთან აღსრულებული აღმსარებელი მაქსიმეს ნეშტი“, ცაგერის ღვთისმშობლის ჭედური ხატი და ხვამლის წმინდა გიორგის სახელობის გაძარი, მაგრამ კომუნისტური მძინვარების ათწლეულებმა თავისი გაიგანა, ეკლესია იავარიქმნა და მრევლიც წითელ ბურუსში ჩაიძირა... დღეს ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსის მეუფე დავითის ლოცვით უფალმა მოგვმადლა ძალა ცაგერის ღვთისმშობლის ეკლესიის რესტავრაციისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, იმვიათად თუ გამოჩნდება უფლის მადლით შემოსილი ჩვენი თანაქალაქენი, რომელთა ძალუძთ თავიანთი წვლილი შეიგანონ მართლაც საშვილიშვილო საქმის კეთებაში. მაშინ როცა ცაგერის ქუჩებში მოხეტიალე უამრავი ახალგაზრდა ნებსით თუ უნებლიეთ უარს ამბობს იმ მადლზე, რომელიც ამ გაძრის აღორძინებით მიიღება.*

მთელი მრევლის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომელთაც მცირე წვლილი შეიგანეს გაძრის რესტავრაციისათვის. ნამდვილად უფალია ამ საქმის შემწე, თორემ დღევანდელი გასაჭირის ჟამს თუ არა უფლის ნება, ყოველგვარ მშენებლობაზე ზედმეტი იქნებოდა საუბარი.

გარკვეული სამუშაოები ცაგერის საკათედრო გაძარში დამთავრდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ღვთის შეწევნით კვლავ განახლდება მუშაობა... მინდა გულწრფელად დავუსვათ თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავს შეკითხვა: ვაკეთებთ თუ არა ჩვენი შესაძლებლობების მინიმუმს მაინც ღვთის სახლის აღდგენისათვის?

ესაუბრა
ეკა ბენდელიანი

გაგრძელება გაზეთის შემდეგ ნომერში.

„უველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“...

ერთი შეხედვით უჩვეულო ზეიმი ეწყობოდა 1 ივნისს ცაგერის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

ბაგა-ბაღის 30 წლის იუბილეს, ბავშვთა დაცვის დღესა და ოცდამეათე თაობის ბუდიდან აფრენას ერთად ზეიმობდნენ დიდები და პატარები.

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“... მოგაგონდება ამ დარბაზისა და პატარების შემყურეს. ისინი ცქრიალა, დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ თითოეულ სტუმარს და უჩვეულოდ ღელავდნენ. საზეიმო განწყობას რაიონის გამგებელი, ქალაქის გამგებელი, განათლების განყოფილების წარმომადგენლები, მშობლები, 30-წლიანი ბაღის ისტორიის თანამონაწილეებიც ალამაზებდნენ.

აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ გამოსაშვები ჯგუფის გოგო-ბიჭები (აღმზრდელები: იზო ბობოხიძე, ნატო ბენიძე). ისინი აქ 6 წლის წინ შემოფრთხიალდნენ—უსუსურები, ლამაზები, უმანკოები და ატირებულნი. დედის კალთიდან ბაღის ბუდეში გადაინაცვლეს და მას შემდეგ მოდიან ასე—ერთიანი ჭირით და ლხინით, ნუგეშითა და იმედით. ვუსმენდით მათ და ვგრძნობდით, როგორ გარჯილა თითოეული აღმზრდელი ამ 6 წლის მანძილზე, რათა პაწიების სულში მხოლოდ სიყვარული, სიკეთე, მშვენიერება და სითბო დათესა. თუ რამდენად შეძლეს ამ რთულ ამოცანის თავის გართმევა, ცხოვრებისა და ისტორიის ჩარხის ტრიალი გვიჩვენებს ალბათ.

ერთმანეთს ცვლიდა კარგი ლექსი და სასიამოვნო, ლაღი მუსიკა, პატარების სახით წარმოდგენილი ზურიკელა ვაშალომიძე, დათა თუთაშხია, პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები. იყო ბევრი სამადლობელი სიტყვა, განსაკუთრებით ქალბატონ რუსუდან ახვლედიანის მისამართით, რომელსაც თითქმის არასოდეს ავიწყდება პატარები.

იყო ლამაზი პირველი ივნისი, უზღვავი ყვავილებითა და თვალსმომდგარი ცრემლით, ოცდაათწლიანი ბაღის შემქმნელთა ჭაღარა თმებით, მომავალი თაობის ფრენით და უკეთესი ხვალინდელი დღის უსაზღვრო იმედით.

მარინა სვანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

18-19 აგვისს სპორტკომიტეტისა და ახლგაზრდობის საქმეთა განყოფილების ინიციატივით ცაგერის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრება მინიფეხბურთში. მონაწილეობდნენ: ლასურიაშის, ჩხუტელის, ქალაქის კეჭნარის უბნის, ბარათაშვილის ქუჩის, ცაგერის ახალგაზრდული ნაკრები და „ძველი ცაგერის" უბნის (სახელწოდებით „გურნიკი") გუნდები.

I ჯგუფში მოხვდნენ: ლასურიაშის გუდი, ქ. ცაგერის ახალგაზრდული ნაკრები და გუნდი „გურნიკი".

II ჯგუფში მოხვდნენ: კეჭნარის უბნის გუნდი, ჩხუტელის გუნდი, ცაგერის ბარათაშვილის ქუჩის გუნდი.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით, შედეგები ასეთია:

I ჯგუფი

1. ლასურიაშის გუნდი —„გურნიკი" 6:2
2. ქ. ცაგერის ახალგაზრდული ნაკრები — ლასურიაშის გუნდი 3:3
3. ქ. ცაგერის ახალგაზრდული ნაკრები —გუნდი „გურნიკი" 5:2

I ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა ლასურიაშის გუნდმა, მეორე ადგილი ქ. ცაგერის ახალგაზრდულმა ნაკრებმა.

II ჯგუფი

1. კეჭნარის გუნდი— ბარათაშვილის ქუჩის გუნდი 2:1
2. ჩხუტელის გუნდი — ბარათაშვილის ქუჩის გუნდი 3:0
3. ჩხუტელის გუნდი —კეჭნარის გუნდი 6:1

პირველი ადგილი დაიკავა ჩხუტელის გუნდმა, მეორე ადგილი – კეჭნარის გუნდმა, დებულების თანახმად შეიქმნა ორი ნახევარფინალური წყვილი:

ლასურიაშის გუნდი — კეჭნრის გუნდი

ჩხუტელის გუნდი— ქ. ცაგერის ნაკრები.

შედეგები ასეთია:

ლასურიაშის გუნდი— კეჭნარის გუნდი ძირითად დროში 3:3 პენალტებით 5:4 —გაიმარჯა ლასურიაშის გუნდმა.

მეორე ნახევარფინალში — ახალგაზრდული ნაკრები — ჩხუტელის გუნდი ძირითად დროში 3:3. პენალტების 4:2— გაიმარჯვა ცაგერის ახალგაზრდულმა ნაკრებმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქ. ცაგერის ახ. ნაკრები და ლასურიაშის გუნდი. ანგარიში 3:2

I ადგილი დაიკავა ლასურიაშის გუნდმა

II ადგილი — ქ. ცაგერის ახ. ნაკრებმა

III ადგილი— ჩხუტელის გუნდმა

გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და სპორტ-კომიტეტის შესაბამისი დიპლომებით.



თარაზულად: 1. ცეცხლსასროლი იარაღი. 2. დას. საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი, სადაც სამხარეო რეზიდენცია მდებარეობს. 3. ქართველი გლეხის განუყრელი შრომის იარაღი. 7. აირი ანუ... 9. გამამხნევებელი უალკოჰოლო სასმელი 10. რაჭული კილოკავი. 11. ლ. ასათიანის მშობლიური კუთხე. 13. ალღო, წინასწარ რაიმეს მიხვედრა. 14. პარლამენტის მუშაობის დაწყების აუცილებელი პირობა. 16. ძვირფასი გამჭვირვალე ქვა. 17. მზის საგალობელი. 21. კურორტი სანეთში 25. სულიერად დაავადებული, შეშლილი. 26. სოფელი, სადაც „ორი ბელი" დაბაჯბაჯებდა. 27. ლუმშვანიერა ანუ 30. ლათინური ამერიკის ქვეყანა. 33. გამარჯვებული სვანი რაინდი, რომელიც ქორეოგრაფიულ საქმიანობას ეწევა ამბროლაურში. 34. „სად იმოზაურეს რაჭველებმა?" (კ.კ.) 35. ქვევრის სახურავის სახელწოდება ლეჩხუმურად. 36. ყავილი. 37. შინაური ცხოველი, რომელსაც ინდოეთში წმინდა ცხოველად ასახელებენ. 40. ლასვეგასში გამარჯვებული ქუთაისური ლუდი. 41. მოწინავე, ნაღები საზოგადოება. 43. არწივმა შეკრა კამარა ანუ გააკეთა. 44. ტბა რაჭაში. 47. ეშმაკისეული ცხოველი. 51. პირველი მამაკაცი დედამიწაზე. 52. წარღვნა ანუ... 53. პოპულარული ქართველი მეგიოლინე ქალბატონი. 56. ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი. 57. მდინარე ლეჩხუმში 59. ლეჩხუმის ყველაზე მაღალი მთა. 60. ადამიანის მეტყველების ორგანო.

შვეულად: 1. ლეჩხუმის ძვ. ისტორიულ სახელი. 2. მუხის ნაყოფი. 4. ღვინის ჭურჭელი. 5. მცოცავღეროიანი მცენარე, რომლის ნაყოფისგანაც ალკოჰოლური სასმელი მზადდება. 6. ძლიერი წვიმისაგან წარმოშობილი პატარა მდინარე. 7. ცნობილი ესპანელი მხატვარი. 8. სოფელი ლეჩხუმში, სადაც „იჩხვლიტებიან" 9. სიცოცხლე, ცხოვრება. 12. კურკოვანი ხილი, რომელიც ლეჩხუმში ბლომადაა. 16. სულით და ხორცით „ქათქათა" რაჭველი. 18. მსოფლიოში სუპერსახელმწიფო. 19. კანფეტის სახეობა. 20 ადამის მეუღლე. 22. პარლამენტარი ანუ... 23. თვალსაჩინო წარმოსადეგი რაინდი. 24. ედ. შევარდნაძის ნათლობის სახელი. 26. დაბალი ტანის რთულფოთოლა ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე. 28. ლეჩხუმური კილოკავი. 29. ოცნების სინონიმი. 31. „სიბრძნე-სიცრუისას" ერთ-ერთი მთ. პერსონაჟი. 32. გაწუწული, გალუმპული... 38. ადამიანის სხეულის შემადგენელი ნაწილი. 39. „სვანების საფარული ხე". 41. ციფრი „ორი" სვანურად. 42. რ. მიშველაძის, ცნ. ნოველა. 45. სამნიშნა რიცხვი. 46. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი. 48. მოქანდაკის სამუშაო მასალა. 49. ღირებულება ანუ... 50. ჩქარა, სწრაფად. 54. რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზის უმცროსი ქალიშვილი. 55. გემმა აუშვა... 58. უარყოფითი ისტორიული მოვლენა.

გილოცავთ

ნინო აბვლედიანს
გია ყურაშვილს

გილოცავთ შეულლებას. გისურვებთ ბედნიერებას და მარადიულ სიყვარულს

თამრიკო დავითულიანი

* * *

ნინო აბვლედიანს
გია ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, სიმრავლეს.

ნათია და მარიკა ბენიძეები

* * *

ნანა ზურაბიანს
იმედა ჩიკვაიძეს

გილოცათ, იხარეთ, იმრავლეთ

ნანა აბვლედიანი
თამრიკო დავითულიანი
ზურა ხეცურიანი

* * *

ნინო აბვლედიანს
გია ყურაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას

გია თანაკალაელები

რეკლამა, რეკლამა, რეკლამა!

ჩვენი გაზეთი მისი პერიოდულობის შესაბამისად, გამოაქვეყნებს ახლადაქორწინებულთა მილოცვებს, განცხადებებს სასწავლებელში მიღების, ყიდვა-გაყიდვის, გაქირავება-დაგირავების, დაბადების დღეებისა თუ სხვა ღირსშესანიშნავ დღეთა აღნიშვნის შესახებ; ხსოვნის აღსანიშნავ მასალებს, ნეკროლოგებს. რეკლამას გავუწევთ საწარმო-ორგანიზაციებს, კერძო საწარმოებს, ფირმებს, საფირმო მაღაზიებს კომერციულ სტრუქტურებს, ყველას..

ჩვენი სარეკლამო მომსახურება მოსახერხებელი, ილუსტრირებული, თანაც იაფი იქნება. ისარგებლეთ ჩვენი რეკლამით, ჩვენ მზად ვართ გემსახუროთ.

გახსენება

დაბადების დღეს გილოცავ, დათო!

როგორ მომძიმს შენზე ვილაპარაკო წარსულ დროში, როგორ ვცდილობ ერთი დღე მაინც იყოს ისეთი, რომ არ მომაგონდე... ამაოდ...

შენი გადავიწყება შეუძლებელია, რადგან ხარ უსაშველოდ და უკიდეგანოდ დიდი ტკივილი, თუკი ეს სიტყვა გამოხატავს უშენობით გამოწვეულ შეშფოთებას.



დედისა და მთელი ახლობლების ერთადერთი სიხარული იყავი, ჩემო თვალებბრიალა ბიჭო, უმისამართო ტყვიამ სამუდამოდ ჩაგიქრო თვალთა ნათელი და ცათა სასუფევლისკენ გაგიტაცა ბედთა გამრიგემ.

13 ივლისს ოცდამეორე ზაფხულს შეეხარებოდი შენი დაუდეგარი ბუნებითა და ალალი, მართალი ბიჭის ღიმილით. დათო! ჩვენ აქედან ვილოცებთ, დამძიმებული დედამიწიდან, შენ ცათა სასუფევლიდან მოგვგებე ლოცვა და ასე შევუსუბუქოთ ერთმანეთს უ-შ-ე-ნ-ო-ბ-ა.

დაბადების დღეს გილოცავ, დათო!

შენი მარინა

რაიონული გამგეობა, საკრებულო და გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" სარედაქციო კოლეგია თანაუგრძნობენ ოჯახს

სოსო თემურის ძე მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ნანა აბვლედიანი,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტაშბაში"

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-09